B24080144

გადახდის ნომერი: **EN2640270**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B24080144**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 24/06/2024 14:48:32
განცხადების ნომერი: 2640270
განცხადების მიღების დრო: 24/06/2024 14:46:04

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: მამუკა ლოლაძე/01011027108/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა).

სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი
დასახელება: 'საქართველოს ბიო-სამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა' საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: **205008070**

დამატებით წარმოდგენილი: (28/06/2024 17:20:56)

- სადამფუძნებლო შეთანხმება;კრების ოქმი;დადგენილების ოქმი, პ/მ ასლები

მომსახურება: 1 დღის ვადაში 200 + 7*2 ლარი

პერსონალური მონაცემები დამუშავდება მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **2 405 405**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

„საქართველოს ბიო-სამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა საზოგადოების“

დამფუძნებლების კრების

ოქმი N3

თბილისი
25.06.2024წ.

კრებას ესწრებოდნენ:

მამუკა ლოლაძე (პ.ნ. 01011027108) - დამფუძნებელი, გამგეობის წევრი

ანდრო ათოშვილი (პ.ნ. 03001001717) - დამფუძნებელი, გამგეობის წევრი

ნინო ლომიძე (პ.ნ. 01008002718) - დამფუძნებელი, გამგეობის წევრი

ირაკლი კანკავა (პ.ნ. 62001040473) – გამგეობის წევრი

კრებას ხელმძღვანელობდა მამუკა ლოლაძე და განსახილველად გამოტანილ იქნა 2 (ორი) საკითხი , დღის წესრიგს წარმოადგენდა:

1) გამგეობის უფლებამსილების აღიარება

2) საზოგადოების კონფერენციის მოწვევა

ანდრო ათოშვილმა გააკეთა არსებული ვითარების მიმოხილვა და აღნიშნა, რომ „საზოგადოების“ პრეზიდენტის, იგივე დამფუძნებლის და გამგეობის წევრის ბატონ რაულ კუპრავას და ასევე დამფუძნებლის და გამგეობის წევრის ბატონ ალექსანდრე ინასარიძის გარდაცვალების შემდეგ არ მომხდარა გამგეობის წევრების ცვლილება და ვინაიდან ამჟამად სახეზეა მისი 4 (ოთხი) წევრი (მათგან დამფუძნებელთა უმრავლესობა ანუ 4-დან 3 წევრი არის გამგეობის წევრიც) საზოგადოების წესდების და სათანადო რეგულაციების შესაბამისად არსებული შემადგენლობით გამგეობა უფლებამოსილია იფუნქციონიროს და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები.

საქართველოს იუსტ
ეროვნ. რეესტრის ე
შტამპი
თარიღი "....." .....
გვ.რაოდენობა.....ხელ

ნინო ლომიძემ აღნიშნა რომ, შემდგომი აქტივობების დასაგეგმად, მათ შორის ორგანიზაციული საკთხების მოსაგვარებლად აუცილებელია პირველ რიგში განისაზღვროს საზოგადოების სამომავლო საქმიანობა, თანამადროვე მოთხოვნებთან ადაპტირება და შესაბამისად წესდების ცვლილება, პრეზიდენტის, საზოგადოების დაკომპლექტება კადრებით სრულად - ამ ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია კონფერენციის გადაუდებლად მოწვევა.

კრების გადაწყვეტილებით დადგინდა:

1. ცნობილ იქნას გამგეობის უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა არსებული შემადგენლობით;
2. გადაუდებლად (ა/წ 27 ივნისს) მოწვეულ იქნას რიგგარეშე კონფერენცია (საზოგადოების მოქმედი წესდების 3.2 მუხლის შესაბამისად) და მისი ორგანიზება დაევალოს ბატონ ზურაბ ჯაჯანიძეს

გამგეობის სხდომა გამოცხადდა დახურულად.

კრების მონაწილეები:

მამუკა ლოლაძე (პ.ნ. 01011027108) _____

ანდრო ათოშვილი (პ.ნ. 03001001717) _____

ნინო ლომიძე (პ.ნ. 01008002718) _____

ირაკლი კანკავა (პ.ნ. 62001040473) _____

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2217
თარიღი 28. ივნისი 2024 წ.
გვ.რაოდენობა 2. ხელმოწერა

...ის სამინისტრო
...ვნული სააგენტო
2217
..... 201 წ.
ხელმოწერა.....

„საქართველოს ბიო-სამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა საზოგადოების“

კონფერენცია

დადგენილების ოქმი N1

თბილისი *27.07.2024წ.*

გაიმართა „საქართველოს ბიო-სამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა საზოგადოების“ ს.ნ. 205008070, კონფერენცია, დღის წესროგით:

1. საზოგადოების მოდერნიზაცია, საწესდებო ცვლილებები
2. პრეზიდენტის არჩევა

რომელშიც მონაწილეობა მიიღო 27 (ოცდაშვიდი) წევრმა, რაც სრულიად შეესაბამებოდა არსებულ სიტუაციას და კონფერენცია უფლებამოსილი იყო მიეღო სათანადო გადაწყვეტილებები. სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს განვლილ პერიოდზე და სამომავლო გეგმებზე. წევრებს განემარტათ საჭირო ცვლილებების შესახებ.

არჩეულ იქნა კონფერენციის თავმჯდომარე - მამუკა ლოლაძე (პ.ნ.01011027108) და მდივანი - ნინო ლომიძე;

წევრებს დაურიგდათ ახალი წესდების პროექტი და დასახელდა პრეზიდენტობის 3 კანდიდატი:

1. მამუკა ლოლაძე, 2. ანდრო ათოშვილი 3. ზურაბ სანიკიძე

შემდგომ, არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს იუსტიციის
საჯარო რეესტრის ეროვ
შტამპი № 2
თარიღი "....." .....
გვ.რაოდენობა.....ხელმოწე

ავთანდილ ბარძიმაძე (პ.ნ.35001055395) - კომისიის თავმჯდომარე
ეკა ფოცხვერაშვილი (პ.ნ. 01001075094) - კომისიის წევრი
ვაჟა გელხვიიძე (პ.ნ.09001027720) - კომისიის წევრი

მონაწილეების რაოდენობის შესაბამისად დაიბეჭდა ბიულეტენები და განხორციელდა ფარული კენჭისყრის პროცედურა სათანადო წესების დაცვით. განხრციელდა ჩაყრილი ბიულეტენების დათვლა და მონაწილეთა რაოდენობასთან შედარება.

დათვლის შედეგად 17 ამომრჩევლის ხმა მიიღო ანდრო ათოშვილმა, 6 ხმა - მამუკა ლოლაძემ, 4 ხმა - ზურაბ სანიკიძემ

საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულ იქნა ანდრო ათოშვილი

კონფერენციამ იმსჯელა შემდეგ საკითხებზეც და დაადგინა:

1. შეცვლილ იქნას წესდება და მოვიდეს შესაბამისობაში თანამედროვე მოთხოვნებთან. მხოლოდ მისი ოფიციალური რეგისტრაციის შემდეგ განხორციელდეს სხვა საჭირო ცვლილებები, გამგეობის ახალი არჩევნები და კადრებით დაკომპლექტება დანიშვნები; დანარჩენი ატრიბუტიკა და მისამართი დარჩეს უცვლელად.
2. საზოგადეობას შეეცვალოს სახელი ანუ გახდეს ასოციაცია და ჩამოყალიბდეს ასე: საქართველოს ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა ასოციაცია
3. ასოციაციის პრეზიდენტად (იგივე გამგეობის თავმჯდომარედ) არჩეულ იქნას ანდრო ათოშვილი რომელიც შეცვლილი წესდების მიხედვით იქნება ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, შესაბამისად ის ინიშნება ასოციაციის დირექტორად მომდევნო 3 წლის ვადით.
4. კონფერენციის (საერთო კრების) გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მას შემდეგ რაც ოქმს ხელს მოაწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი

ეთხოვოს კონფერენციის გადაწყვეტილებით არჩეულ პრეზიდენტს (დოკუმენტაციის რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ (გამგეობის თავმჯდომარეს) ანუ დირექტორი ანდრო ათოშვილს განახორციელოს შეცვლილი დოკუმენტაციის მიხედვით რეესტრში რეგისტრაცია.

კონფერენცია დასრულდა.

კონფერენციის თავმჯდომარე

მამუკა ლოლაძე _____

კონფერენციის მდივანი

ნინო ლომიძე _____

„საქართველოს ბიო-სამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა საზოგადოება, 205008070 "

ს სამინისტრო
ული საგენტო
217
..... 201 წ.
.....

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2217
თარიღი "28 .....3.6.6.6..... 2024 წ.
გვ.რაოდენობა..2..ხელმოწერა.....

სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა — არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

***საფირმო სახელწოდება** საქართველოს ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა ასოციაცია

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე** Association of Biomedical and Clinical Engineers of Georgia

*** იურიდიული მისამართი** -- ქ.თბილისი, კოსტავას 77.

უნდა მიეთითოს ორგანიზაციის იურიდიული მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი info@abceg.org

(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი + 995 599 901975

(არსებობის შემთხვევაში)

***დამფუძნებლები**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართ

მამუკა ლოლაძე პ/ნ01011027108, მის: საქართველო, საქართველო, ქ.თბილისი, ალექსიძის პირველი შესახვევი, პირველი კორპუსი, ბ.#5

ანდრო ათოშვილი პ/ნ 03001001717, მის: საქართველო თბილისი, ა.მირცხულავას ქ. 10/45

ნინო ლომიძე პ/ნ01008002718, მის: საქართველო, თბილისი, მარაბდის ქ. N30.

რაულ კუპრავა პ/ნ. 01024029314, მის. საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. #6

ალექსანდრე ინასარიძე პ/ნ 01007007023, მის. საქართველო, თბილისი, ქუთაისი ქ. 29

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

1. ანდრო ათოშვილი 03001001717. თბილისი, ა. მირცხულავას ქ. #10/45, უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ზედიზედ ორჯერ არჩევის შესაძლებლობით.

*** ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**

ანდრო ათოშვილი 03001001717. თბილისი, ა. მირცხულავას ქ. #10/45

* ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

androatoshvilil@yahoo.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+ 995 599 901975

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო: წევრთა საერთო კრება, გამგეობა

გამგეობის წევრები:

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

მამუკა ლოლაძე პ/ნ01011027108, მის: საქართველო, საქართველო, ქ.თბილისი, ალექსიძის პირველი შესახვევი, პირველი კორპუსი, ბ.#5

ანდრო ათოშვილი პ/ნ 03001001717, მის: საქართველო თბილისი, ა.მირცხულავას ქ10/45

ნინო ლომიძე პ/ნ01008002718, მის: საქართველო თბილისი მარაბდის ქ. N30.

*** საქმიანობის მიზანი:**

1.ასოციაციის მიზნებია:

- ბიოსამედიცინო და კლინიკური ინჟინერიის განვითარება საქართველოში;
- ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა სწავლების, განვითარების და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- უწყვეტი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი სემინარების, ტრეინინგების, ვორქშოფების ორგანიზებით. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და მუდმივ განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა ინტერესების დაცვა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება;
- დარგში მოქმედი ორგანიზაციების და კლინიკური ინჟინრების მონაცემთა ბაზის შექმნა, მუდმივი განახლება, მართვა;
- ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა ქცევის წესების, უფლება მოვალეობების შემუშავება და აღსრულების ხელშეწყობა;
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო, ნორმატიული და სტანდარტიზაციის დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა, ინიცირება;
- სამედიცინო მოწყობილობებთან დაკავშირებული მართვის და მომსახურების მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა, ძირითადი პრინციპების შემუშავება;

- უნიფიცირებული დარგობრივი წესების, ტერმინების, სპეციფიკაციების, შემუშავება და დანერგვა;
- დარგის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ასოციაციის მიზნების უკეთ განსახორციელებლად, მათი გამოცდილების გაზიარება და სათანადო სასწავლო ან/და სარეგულაციო დოკუმენტების შემუსავება;
- აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანპებთან თანამშრომლობა კონსულტირებისა და საექსპერტო პირობებით;

1.2. დასახული მიზნების მისაღწევად ასოციაცია ახორციელებს სხვადასხვა აკადემიურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, ორგანიზებას უწევს პროექტებს და პროგრამებს, მონაწილეობას იღებს დარგის მარეგულირებელი რეგულაციების და სტანდარტების შექმნაში, ატარებს ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებს, თანამშრომლობს მსგავსი მიზნების მქონე სხვა ორგანიზაციებთან, პირებთან და უწყებებთან, ახორციელებს ასოციაციის მიზნების შესაბამის კანონით ნებადართულ ყველა სხვა სახის საქმიანობას.

1.3. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.4. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება მის მიზნებს, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

1.5. ასოციაციის სამუშაო ენაა ქართული. საერთაშორისო ურთიერთობისთვის და შეხვედრებისთვის ინგლისური.

1.6. ასოციაციას ყავს ბუღალტერი (ხაზინადარი) და იურისტი.

- კანონით ნებადართული სხვა საქმიანობები.
- **დანართი:** ორგანიზაციის წესდებად განისაზღვროს დამფუძნებლების მიერ შემუშავებული წესდება.

ანდრო ათოშვილი, მის: საქართველო, ქ.თბილისი, ა.მირცხულავას ქ.#10/45

.....

თარიღი: ----------

წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი (შემდგომ – ორგანიზაცია), რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
2. ეს წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის.
3. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.
5. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს.
6. ორგანიზაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.
7. ორგანიზაციის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. ორგანიზაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ორგანიზაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.
8. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

9. ორგანიზაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.
10. ორგანიზაციის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.

მუხლი 2. ორგანიზაციის მართვა

1. ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება, გამგეობა. წევრთა საერთო კრება (მორიგი საერთო კრება) ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება.
2. წევრთა საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ორგანიზაციის წევრთა 1/10-ს, გამგეობის წევრთა უმრავლესობასა და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/პირებს. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
3. წევრთა საერთო კრება ტარდება კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან ან წევრებისთვის მოსაწვევის გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. მოსაწვევის გაგზავნა შესაძლებელია დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) განთავსება. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ყველა იმ წევრს, რომელიც კრების მოწვევის დღეს ირიცხება ორგანიზაციის წევრად. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირის სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს წევრთა საერთო კრების დღის წესრიგს. წევრს უფლება აქვს, საერთო კრების მომწვევს მოსთხოვოს კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ წევრის მოთხოვნა წევრთა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, ის უნდა დაკმაყოფილდეს და შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. წევრთა საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს წევრის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას. დასაშვებია და ანალოგიური უფლებამოსილება აქვს წევრის დისტანციურად (ონლაინ) დასწრებას, რაც უნდა იყოს ტექნიკურად უზრუნველყოფილი სათანადოდ.

4. თუ წევრთა საერთო კრებას ყველა წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
5. წევრთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი პირი/ორგანო. წევრთა საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრებისა და ხელმძღვანელი ორგანოსათვის. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება.
6. წევრთა საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრთა საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.
7. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

   ა) ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

   ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

   გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;

   დ) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

   ე) საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილება, კენჭისყრის შედეგების მითითებით.
8. წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

   ა) ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მითითებების მიცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოსთვის/პირისთვის;

   ბ) ორგანიზაციის წესდებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება, შინაგანაწესის დამტკიცება;

   გ) ორგანიზაციის გამგეობის წევრების არჩევა და გათავისუფლება;

   დ) ორგანიზაციისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია/ ლიკვიდაცია;

   ე) გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონითა და ამ წესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციას.

მუხლი 3. წევრთა უფლებები და მოვალეობები

1. ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს.
2. ორგანიზაციის წევრად მიღების, გასვლისა და გარიცხვის საკითხს წყვეტს გამგეობა.
3. ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება შემდეგ შემთხვევებში:

   ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

   ბ) ორგანიზაციიდან გარიცხვისას.

4. გამგეობის გადაწყვეტილებით წევრი შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან, თუ ის სისტემატურად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს ან/და თავისი ქმედებით ეწინააღმდეგება ორგანიზაციის საქმიანობას, მიზნებსა და ამოცანებს.
5. წევრს უფლება აქვს:
   ა) არჩეულ იქნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელ ან/და სხვა ორგანოებში;
   ბ) მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის პროგრამებში, პროექტებში, წარმოებაში არსებულ საქმეებსა და სხვა ღონისძიებებში;
   გ) მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ და ისარგებლოს ორგანიზაციაში დაცული ინფორმაციით;
   დ) გავიდეს წევრობიდან.
6. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:
   ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება და შინაგანაწესი;
   ბ) გაუფრთხილდეს ორგანიზაციის სახელს, საქმიან რეპუტაციასა და ქონებას;
   გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს საწევრო გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 4. გამგეობა

1. წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში ორგანიზაციას მართავს გამგეობა.
2. გამგეობის სხდომა ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა 8 დღით ადრე, გამგეობის წევრისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს გამგეობის სხდომის დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში გამგეობის წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.
3. გამგეობის სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის წევრს, მის თავმჯდომარეს, წევრთა საერთო კრებასა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ კონკრეტულ საკითხს მხარს დაუჭერს გამგეობის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
4. გამგეობის სხდომის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც შეიძლება იყოს დირექტორიც, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:
   ა) ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
   ბ) ორგანიზაციის მიერ ქონების შეძენა/გასხვისება/ვალდებულებით დატვირთვა;

გ) სხვა იურიდიულ პირებში ორგანიზაციის გაწევრიანება ან პარტნიორად/ დამფუძნებლად შესვლა;

დ) ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის არჩევა და გათავისუფლება;

ე) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა და გათავისუფლება;

ვ) ორგანიზაციის წევრების მიღება და გარიცხვა.

მუხლი 5. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი. დირექტორი ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.
2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. დირექტორი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ორგანიზაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამასთან, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ერთზე მეტი დირექტორი ჰყავს, ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
4. უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორს აქვს უფლება ორგანიზაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, მიიღოს ორგანიზაციაში თანამშრომლები, გააფორმოს მათთან ხელშეკრულება და გადაწყვიტოს საკადრო საკითხები. დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ორგანიზაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება იზღუდება წევრთა საერთო კრებისა და გამგეობისთვის ამ წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის გათვალისწინებით.

5. გამგეობას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე.
6. დირექტორს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ასეთ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.
7. დირექტორი ვალდებულია წელიწადში ერთხელ წევრთა საერთო კრებას წარუდგინოს ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში.

მუხლი 6. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.
2. ორგანიზაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.
4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
5. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
   ა) ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას;
   ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
   გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

8. თუ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი

მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ორგანიზაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

დამფუძნებელი: მამუკა ლოლაძე პ/ნ01011027108, მის: საქართველო, ლისი.

ხელმოწერა:_____

დამფუძნებელი: ანდრო ათოშვილი პ/ნ 03001001717, მის: საქართველო თბილისი მირცხულავას ქ. 10/45

ხელმოწერა:_____

დამფუძნებელი: ნინო ლომიძე პ/ნ01008002718, მის: საქართველო თბილისი მარაბდის ქ. N30.

ხელმოწერა:_____

ნ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2217
თარიღი "28" ...ივნისი... 2024 წ.
გვ.რაოდენობა 10 ხელმოწერა ...



Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ანდრო
ANDRO
გვარი / LAST NAME
ათოშვილი
ATOSHVILI
მოქ. / CIT GEO
სქესი / SEX მმ / M
პირადი No / PERSONAL No 03001001717
დაბადების თარიღი DATE OF BIRTH 20.01.1972
მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY 03.02.2027
ხელმოწერა SIGNATURE
გარათის No / CARD No 16IA72229



Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
მამუკა
MAMUKA
გვარი / LAST NAME
ლოლაძე
LOLADZE
მოქ. / CIT GEO
სქესი / SEX მმ / M
პირადი No / PERSONAL No 01011027108
დაბადების თარიღი DATE OF BIRTH 11.11.1974
მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY 01.06.2032
ხელმოწერა SIGNATURE
გარათის No / CARD No 20IE22079



Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნინო
NINO
გვარი / LAST NAME
ლომიძე
LOMIDZE
მოქ. / CIT GEO
სქესი / SEX მდ / F
პირადი No / PERSONAL No 01008002718
დაბადების თარიღი DATE OF BIRTH 16.04.1971
მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY 21.06.2034
ხელმოწერა SIGNATURE
გარათის No / CARD No 23ID60704

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO

სტუდენტი
STUDENT

სახელი / FIRST NAME
ირაკლი
IRAKLI

გვარი / LAST NAME
კანკავა
KANKAVA

მოქ. / CIT
GEO

სქესი / SEX
მმ / M

პირადი No / PERSONAL No
62001040473

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
23.06.1990

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
15.06.2033

ბარათის No / CARD No
22IC86516

ხელმოწერა
SIGNATURE

გადახდა შესრულდა	
ოპერატორი	Nino Aslanishvili
POS ტერმინალის იდენტიფიკატორი	SERV2012
გადახდის კოდი	EN2640270
გადახდილი თანხა	21.00 ლარი
ტრანზაქციის # / ქვითრის #	112801543 / 418013377920

ქვითარი

თიბისი ბანკი
TBC BANK

Justice POS 24
Sanapiros st.2, Tbilisi
ტერმინალ ID: SERV2012
ჩეკი 1566
ყიდვა
თანხა 22.00 GEL
მომსახურების საკომისიო 1,00 GEL
MasterCard N
5456 30** **** 4014
AID A0000000041010
LABEL MASTERCARD
დადასტურებულია
პასუხის კოდი: 000
ავტორიზაციის კოდი: 767282
RRN: 418013377920
თარიღი 28.06.24 დრო 17.21.26
მადლობა